ქართული ლირიკული ლექსი პოლიტიკური ლიბერალიზაციის ეპოქაში – „დათბობის“ ხანა

ქეთევან სამადაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოლოგიის პროგრამის
დოქტორანტი;
ელ-ფოსტა: Ketevan.samadashvili@tsu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0001-3061-4949

აბსტრაქტი. გლობალიზაციის ეპოქიდან დანახული ე. წ. „ხრუშოვის დათბობის ხანა“, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული 60-იანი წლების შუა წლებამდე გაგრძელდა, ხშირად საბჭოთა კულტურის „ოქროს ხანადაც“ მოიხსენიება. ნ. ს. ხრუშოვის მოწოდების შესაბამისად, კულტურული ცხოვრების ყველა სფეროსა და, მათ შორის, ლიტერატურაზე, თანაბრად უნდა გავრცელებულიყო პარტიის იდეოლოგიური ზეგავლენა.

„საერთოპროლეტარული და საერთოპარტიული საქმის“ ჩარჩოებში მწერლისა და პოეტის შემოქმედება კვლავ მოიაზებოდა, როგორც სახელმწიფოებრივი ფუნქციის მქონე ინსტრუმენტი - კულტურის მოღვაწეებს უნდა გამოემზეურებინათ საბჭოთა წყობის როგორც უარყოფითი, ისე - დადებითი მხარეები. იდეოლოგიური კლიშეები ეფუძნებოდა საზოგადოებაში ხელოვნების როლისა და ადგილის განსაზღვრის მანამდე არსებულ ხედვებს, რაც, ბუნებრივია, მოიაზრებდა ძალაუფლების იდეოლოგიურ მექანიზმთან მტკიცე კავშირს.

კულტურულ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა პოეზიამ. გასათვალისწინებელია, რომ იგი საზოგადოების სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ღერძს წარმოადგენდა. პერიოდული გამოცემების - „ლიტერატურული საქართველოს“, „ცისკრის“, „მნათობის“, „საბჭოთა ხელოვნებისა“ თუ „პირველი სხივის“ ფურცლებზე ღვაწლმოსილ ლიტერატორთა გვერდით აქტიურად იბეჭდებოდა შემოქმედებით ასპარეზზე ახლადგამოსულთა ლირიკული ლექსები. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა იოსებ ნონეშვილის, მურმან ლებანიძის, ირაკლი აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, მიხეილ ქვლივიძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის, ოთარ ჭილაძისა და სხვათა შემოქმედებას.

„ხრუშოვის დათბობის ხანაშივე“ წამოიჭრა კულტურული დიალოგის საკითხი, რაც, გარკვეულწილად, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა, რადგან „უცხოს“ გაგება-გააზრება არაერთმნიშვნელოვან სპეციფიკას ატარებდა; იზოლაციისა და მკაცრად საერთოეროვნული მრწამისის იდეოლოგიური დაპირისპირება განსაზღვრავდა კულტურული პოლიტიკის ზოგად პრინციპებს.

საბჭოთა ხედვის ტრაექტორიის ცვლილებას გარდატეხა მოჰყვა ლიტერატურაშიც, რომელიც მაინც რჩებოდა პოლიტიკის მძაფრი გავლენის ქვეშ. იდეოლოგიური მრწამსის გამო აღარ აპატიმრებდნენ კულტურის მოღვაწეებს, მაგრამ ცენზურის წნეხის ქვეშ ექცეოდა თითოეული მხატვრული ნაწარმოები, რომელიც არ შეესაბამებოდა საბჭოთა იდეოლოგიას. ბუნებრივია, ეს სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს.

საკვანძო სიტყვები: „ხრუშოვის დათბობის ხანა“; XX საუკუნის ქართული პოეზია; ლირიკული ლექსი.

* * *

შესავალი. საბჭოთა „დათბობის“ ხანა არა მხოლოდ პოლიტიკური დესტალინიზაციის, არამედ კულტურული ტრანსფორმაციის პერიოდიც იყო, რომლის დროსაც ქართულ პოეზიაში გაჩნდა თემატურად, სტილისტურად და ესთეტიკურად ახალი ძიებების საჭიროება. პოეტები ცდილობდნენ, ლექსის ფორმით გამოეხატათ ირონიული პოზიცია, ფსიქოლოგიური განცდები, დაესვათ ეგზისტენციალური შეკითხვები და ჩაღრმავებოდნენ ეროვნულ თვითმყოფადობას.

სტატია მიზნად ისახავს, გააანალიზოს დღემდე აქტუალური საკითხი - პოლიტიკური ლიბერალიზაციის გავლენა ქართულ პოეზიაზე, წარმოაჩინოს „დათბობის პერიოდის“ ლიტერატურული სტრატეგიები და შეაფასოს ლექსი, როგორც სოციალური და კულტურული დიალოგის ფორმა.

ფსიქოლოგიურ-ეგზისტენციალური და სატრფიალო თემატიკა, ურბანიზაციის გარდაუვალობა და დაცლილი სოფლების პრობლემატიკა, ისტორიული ალუზიები, მეტაფიზიკური და ფილოსოფიური ძიებანი - ძველი თემების გადააზრების პარალელურად ახლის შემოსვლა მნიშვნელოვანი კულტურული გარდატეხის შედეგი იყო. მათში ასახულია როგორც ინდივიდის შინაგანი სამყარო, ისე ცვლილებები საზოგადოებაში, რომლებიც განაპირობა “დათბობის”, პოლიტიკური ლიბერალიზაციის ეპოქამ.

სტატიის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ცხარე გლობალიზაციის ეპოქიდან დანახული განსხვავებული ღირებულებებისა და საზოგადოებრივი ორიენტაციის მქონე პოეტთა შემოქმედების მახასიათებლების გამოკვეთა და შეფასება.

მეთოდები. საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 50-იან წლებში დაწყებული შესამჩნევი კულტურულ-პოლიტიკური ძვრების შედეგად დოგმატიზმისაგან მეტ-ნაკლებად განთავისუფლებული ქართული პოეტური ტექსტების იდეოლოგიურ-კონტექსტუალური ანალიზი ცხადყოფს პოლიტიკური ზეწოლის შემცირების ხარისხს.

„დათბობის ხანის“ პოეზიის ჰერმენევტიკული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ ფარული შინაარსის ამოკითხვა, რომელიც იდეოლოგიური ცენზურის პირობებში მეტაფორულად გამოითქმოდა.

ინტერტექსტუალურმა ანალიზმა გამოვლინა, რომ საკვლევად შერჩეულ პოეტთა შემოქმედება არ არის იზოლირებული მოვლენა. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირშია როგორც ეროვნულ ფოლკლორულ ტრადიციასთან, ისე - მსოფლიო ლიტერატურულ არქეტიპთან.

კულტურულ-ისტორიული ინტერპრეტაციის ჭრილში ტექსტების სტრუქტურული ანალიზი გვაძლევს საკვლევი მასალის სრულყოფის საშუალებას.

„დათბობის“ ხანაში შედარებით შერბილდა ცენზურა, რომელიც მანამდე მკაცრად ბატონობდა საბჭოთა პატრიოტულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაზე. საკვლევი პერიოდის ქართული პოეზია გამორჩეულია იმით, რომ პოეტებმა შეძლეს, ლექსის საშუალებით გამოეხატათ როგორც პიროვნული განცდები, ისე ფარული სოციალური და პოლიტიკური პოზიციები.

იგავური ენისა და სიმბოლური სახეების მოძლიერების ტენდენცია ლიტერატურულ ასპარეზზე ახლადგამოსულთ საბჭოთა რეალობის მხატვრულად გააზრებაში ეხმარებოდა.

აქტუალურობას არ კარგავდა პიროვნული მეს ძიების პრობლემატიკა, ისევ ნიშანდლობ ადგილს იკავებდა სატრფიალო პოეზია, პატრიოტული თემატიკა თუ მორალური დილემის საკითხი.

„დათბობის პერიოდის“ ქართველი პოეტები ხშირად ეხებოდნენ ისეთ თემებს, რომლებიც ირიბად ასახავდა იმდროინდელ სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ რეალობას. მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, გივი გეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, შოთა ჩანტლაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მიხეილ ქვლივიძე, მორის ფოცხიშვილი - ცდილობდნენ, ემოციებისა და სოციალური როლების გამოხატვით გაეთავისუფლებინათ ლექსი იდეოლოგიური ჩარჩოებისგან. ცენზურის შერბილებამ მათ მისცა საშუალება, უფრო ღრმად და მრავალ-

ფეროვნად გამოეხატათ საკუთარი ხედვები, შეექმნათ ლექსები მარტოობის, შიშის, ცხოვრების საზრისისა და პიროვნების შინაგანი კონფლიქტის შესახებ.

„ხრუშოვის დათბობის პერიოდის“ მრავალფეროვანი ლიტერატურული პალიტრიდან სტატიის ძირითადი თეორიული ნაწილი მოიცავს სამი პოეტის - ოთარ ჭილაძის, შოთა ნიშნიანიძისა და მიხეილ ქვლივიძის შემოქმედების შესახებ მსჯელობას ეპოქის ტენდენციების ჭრილში.

მიხეილ ქვლივიძის პოეზია კულტურული არქეტიპების რეინტერპრეტაციის თვალსაჩინო ნიმუშია, რადგან მასში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პატრიოტულ საკითხსა და საბჭოთა ეპოქისათვის ერთობ მნიშვნელოვან - ხალხთა ძმობის თემას. პოეტის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, ხოლო პოეტური სტილის თავისებურებანი ემოციათა სიმდიდრითა და სინატიფით გამოირჩევა. გრძნობების უშუალოდ და გულწრფელად გადმოცემა, გამომსახველობითი ელემენტების სიუხვე, მხატვრული სახეების სიმარტივე და ბუნებრიობა - მ. ქვლივიძის შემოქმედების მთავარი მახასიათებლებია.

პოეტის ლირიკულ მემკვიდრეობაში მეორე მსოფლიო ომის არაერთი სურათი ცოცხლდება, რაც ნიშანდობლივია: უფროსი ძმა ქერჩში, უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, მამა გიორგი ქვლივიძე კი ხეიბარი დაბრუნდა შინ. მუდმივი დარდისგან დედა ადრე დასნეულდა და სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა. ომმა გააუფერულა პოეტის ახალგაზრდობა („ოცნების კაცები“), ლექსებს კი მრუმე ფერი გაურია. მ. ქვლივიძე პატივს მიაგებს ბრმა ტყვიებსა და ყუმბარებს შეწირულთა ხსოვნას („მოგონება“, „ყუმბარა და ბავშვი“, „მაროდიორი“, „ჰოსპიტალში“...). პოეტს განსაკუთრებით ზარავს „ხმა უცხო, არა ქართული“ (ქვლივიძე, 1994, გვ. 19), რომელიც ფარავს მონატრებას ომში წასულებზე, ბადებს კიდევ უფრო საზარ საფიქრალს გადაჯიშებასა და გამანქურთებაზე („ქართვლის დედა“, 1941 წ.).

ფილოსოფიური ხედვა და სულიერი ძიებები იკვეთება მ. ქვლივიძის ლექსში „მოგზაურობა „აღთქმულ ქვეყანაში“ - პოეტი ცხოვრებას ჩქარ მატარებლად, ადამიანებს კი ჭრელ ბრბოდ წარმოადგენს. დროის ფუჭი წარმავალობა, სიკვდილ-სიცოცხლის დიქოტომია მკითხველს სიღრმისეული ფიქრისა და თვითშემეცნებისათვის განაწყობს.

პოეტს არც საბჭოთა წყობის ფასადურობა დარჩა გაუკილავი: მ. ქვლივიძის სილაბურ ტაეპებს ალაგ ვერლიბრიც გაერევა. მაგალითად, ლექსი „ფერწასული კაცები“ გვიხატავს „დაკეცილი გაზეთებით ხელში, სამოქალაქო ტანსაცმელში“ (ქვლივიძე, 1994, გვ. 24) გამოწყობილ კაცთა მოდგმის გაუტანლობას, პოეტის ახალგაზრდობა რომ დაფერფლა. საინტერესოა, რომ სწორედ საზოგადოების კონკრეტული პრობლემის აღწერას არ დაახარჯა მ. ქვლივიძემ რითმა.

სევდის, დანაკლისის განცდისა და სულიერი მარტოობის მოტივები პოეტურ ტექსტებს ემოციურ სიმძაფრეს ჰმატებს. „ნურავის ენდობი. შენივე ძმობილი ღიმილით მოგიტანს ჟანგიან მარწუხებს“ (ქვლივიძე, 1994, გვ. 21) - წერს პოეტი უსათაურო ლექსში, სხვაგან კი სულიერ წინაპარს ეხმიანება, მთაწმინდაზე რომ მარტოსულად განისვენებს და საიქიოშიც ფიქრთა ნავსაყუდელს დაეძებს („მთაწმინდაზე“).

მ. ქვლივიძის ლირიკულ ლექსებში სიცოცხლით ტკბობისა და ნეტარების ამსახველი ტაეპებიც დაიძებნება. სამყაროს სილამაზისა და ბედნიერების გამზიარებელი პოეტი კაცთა შორის სათნოებასა და ურთიერთგაგებაზე წერს: „მინდა, ქედების ქამარი მერტყას, ანდა მეძინოს მარადი ძილით. თოვს... და, მგონია, ვიღაცა ბერტყავს ტომარას ფქვილით“ (ქვლივიძე, 1994, გვ. 27).

სატრფიალო პოეზიაში მიძღვნის ობიექტისადმი ნაზი და ნატიფი დამოკიდებულება გამოსჭვივის. იგი ეხმიანება რუსთველსა და გალაკტიონს და სიყვარულს წარმოაჩენს გრძნობად, რომელიც ადამიანს ასაზრდოებს ცხოვრების გზაზე, წმენდს პიროვნულად, მატებს კეთილშობილებასა და კაცთმოყვარეობას, სცილდება ხორციელ ვნებებს და ამაღლებულ გრძნობადაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივია ქალ-ვაჟური სიყვარულის სიმბოლურ-მეტაფორული სახე ერთ უსათაურო ლექსში:

„ისე მიყვარხარ, რომ არც კი ვიცი, ეს სიყვარული რას შევადარო - აფრენილ არწივს, თუ ეკლესიის ფერწასულ გუმბათს“ (ქვლივიძე, 1994, გვ. 29).

ცალკე განხილვის საგანია ბუნება და მისი სიმბოლური დატვირთვა მ. ქვლივიძის პოეზიაში. აქ ბუნება არის არა მხოლოდ გარემო, არამედ ადამიანის შინაგანი მდგომარეობის მეტაფორული სახე. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი აღწერს გაზაფხულის სურათს, ნაწვიმარზე „ფერდგაგლეჯილ“ მუხას, რომელშიც მკითხველი მარტივად ამოიცნობს გალაკტიონს, ფოთლებში მომღერალ ქარში კი იმედს - მუხაზე დანამყენ მომავალ თაობებს.

მ. ქვლივიძის ლირიკული პოეზიის თემატიკა მრავალფეროვანია. პოეტის სუბიექტური აღქმის საშუალებით ცოცხლდება წარსულის ხილვები, აწმყოს შეუალამაზებელი სურათები და იბადება მომავლის იმედი. იგი ყოველთვის მართალი კაცის სიტყვით აფასებს თავისი თაობის მანკიერ მხარეებს და სინანულს გამოთქვამს, რომ ღმერთის რწმენა მათთვის გაუფასურებულია, ქარის წისქვილებთან ბრძოლა გადაქცეულა ერთადერთ საქმედ („ჩემი თაობა“).

მრავალფეროვანია შოთა ნიშნიანიძის პოეტური მემკვიდრეობის თემატიკა: ინტიმურ-მედიტაციური, ისტორიული, მითოსური, პატრიოტული, სატრფიალო, სატირულ-იუმორისტული... პოეტი საკუთარი „მე“-ს გამოსახატავად იყენებს თრხობით ინტონაციას, ლირიკულ ასოციაციებს, მითოსურ ელემენტებს, შედარებებს, ეპითეტებს. კლასიკურ დონემდე დახვეწილი და მოწესრიგებულია რიტმი და რითმა.

შ. ნიშნიანიძე „შეგნებულად ერიდება ურბანისტული გარემოს წარმოსახვას. მის ლირიკას ქალაქიდან გავყავართ სოფელში. [...] არ აინტერესებს ტექნიკის მიერ რეკონსტრუირებული სამყაროს მოდელი. მის ლექსებში არ სჩანს ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ცათამბჯენები, ტელეფონი, ინსტიტუტი, ასფალტი, ფაბრიკა, ქარხანა, ელექტრონი და საერთოდ ის ატრიბუტები, რაც ქმნის ქალაქურ ყოფას“ (ლიტერატურული პროცესი და კრიტიკა, 1980, გვ. 213). შემოქმედისათვის პოეზია სინათლის მსახურებაა. ბნელეთთან ბრძოლის კლასიკური ნიმუშები დაიძებნება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულთა სახოტბო ლექსებსა თუ მეორე მსოფლიო ომის ლირიკულ სურათებში.

ს. სიგუა წერს: „შოთა ნიშნიანიძის ლექსების ერთი რკალით სინამდვილის მრავაწახნაგოვანი სფეროდან გამოტანილია მითოსურ-ისტორიული შრე. შორეული წარსული ერითმება დღევანდელობას.“ (ლიტერატურული პროცესი და კრიტიკა, 1980, გვ. 209) მართლაც, მისი შემოქმედების საძირკველი ფოლკლორულ მემკვიდრეობაში უნდა ვეძიოთ. ეროვნული თვითმყოფადობის ენერგია იგრძნობა ტაეპებში: „მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 86). ამტანობისა და მოთმინების საკრალური არქეტიპი ხარი „ვეფხისტყაოსანთან,“ სვეტიცხოველთან და დიდგორთან არის გაიგივებული. სხვაგან კი ვკითხულობთ: „ვარ წუთისოფლის გზებზე გამდგარი ქედგახეხილი ხარი ნიკორა“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 344). „მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს და მარაბდას!“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 18).

პუბლიცისტური სტილითაა დაწერილი ლექსი „ამირანი“. უზენაესთან შერკინებული მითოსური პერსონაჟი ცხოვრებით კმაყოფილ კაცად წარმოადგინა პოეტმა, ამბოხის სურვილი და ძალა რომ დაუკარგავს (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 308). კულტურულ-ისტორიული ინტერპრეტაციის ჭრილში პოეტი უბრუნდება ამორძალების, ჭინკებისა და ამირანის პერსონაჟებს („ამირანის ნათლობა,“ „საამირანო“).

შ. ნიშნიანიძის ლირიკული პოეზიის ერთი ნაწილი პატრიოტული ხასიათისაა: „თევდორე,“ „მონღოლები,“ „იოანე ბერი,“ „ცოტნე დადიანი,“ „მამელუკები“... პოეტი უსაქართველო აფხაზეთს მკერდმოჭრილ ამორძალს ადარებს ლექსში „აფხაზური კანტატა:“ „შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის სუნი, ყრმობის ზღაპარო, მართლა ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებ“ (ნიშნიანიძე,

თხზულებანი ორ ტომად, ტ. 1, ლექსები. პოემა, 1990, გვ. 73). სწორად შენიშნავს გ. ბენაშვილი: „მან, როგორც პოეტმა და მოაზროვნემ, განსაკუთრებული სიღრმით შესძლო წარმოედგინა ისტორიის ავანსცენაზე გათამაშებული შხამიანი მოვლენების სრული აბსურდულობა“ (ბენაშვილი, 2002, გვ. 154).

შ. ნიშნიანიძის ლექსების ლირიკული გმირი ეროვნული იდენტობის მატარებელია, „წინაპრის ცრემლით ამოშანთულ“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 184) სალამურსა და შაშვის გალობას აღმერთებს, სვანეთის მთას ცოცხალივით აღიქვამს: „გადაალაჯებს ენგურის წყალს ბაყბაყდევივით, ამოჩრილი აქვს იღლიაში სვანთა სოფელი“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 92).

ბუნების სურათები შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში ეგზისტენციალური სიმბოლიზმითაა დატვირთული: „დილა ატმებში შეყუჟულა ხოხბის ლაპივით, ცრის თეთრი წვიმა - ცის წყალობად გამოგზავნილი. თოხისპირებზე გამოუკრავს მზე საგზალივით და მინდორ-მინდორ სათოხარში მიდის აპრილი...“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 137). ელეგიური ტონალობისაა ლექსები: „ორი ტირიფი,“ „ვაზის სიმფონია,“ „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“. პოეტისა და დრამატურგის ხილვას ასე აღწერს ავტორი: „და მკვდრის მზე, როგორც ნათელკაცობა, მხრებზე დაადგა შარავანდივით“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 172).

ინტიმურ-მედიტაციური მოტივები შ. ნიშნიანიძის პოეზიაში აღიქმება, როგორც იდეოლოგიური იზოლაციიდან თავის დაღწევის საშუალება („დედა,“ „სიზმარში გნახე: ისევ კვდებოდი,“ „კარს მივადექი...“). 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულების ხსოვნას ატარებს ლექსი-დატირება: „-თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასაო! შენც სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 235).

„პარტიული მორალის“ ზოგადსაკაცობრიო ეთიკით ჩანაცვლების ნაცად ხერხს იყენებს შ. ნიშნიანიძე ფილოსოფიური პლასტის მატარებელ ლექსებში: „სინანული“, „კარუსელი“, „ფორმულა“... მიზნისაკენ შეუპოვრად მავალთა უმწეობაზე საუბრობს პოეტი ლექსში „კენჭი ვისროლე მდინარეში.“ სხვაგან ვკითხულობთ: „დავბრუნდებით, გადავალთ არარაობაშივე - წუთისოფლის სტუმრები, აბა, რაღა გვაშინებს?..“ (ნიშნიანიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. 1, ლექსები. პოემა, 1990, გვ. 155).

ეგზისტენციალური თავშესაფრის როლს ითავსებს საბჭოთა პურიტანიზმისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული სატრფიალო პოეზია: „მე ვიყავ ბალახი, შენ - ჩემი შხაპუნა, ცრემლებით, სიცილით გიყვარდა მოსვლა“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 95) პოეტი სხვაგან წერს: „ძლივს დატეულხართ ვიწრო კაბაში შენ, გაზაფხული და შემოდგომა.“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 107). ლექსში „სახუმარო“ ლირიკული პერსონაჟი მხოლოდ სატრფოზე ოცნებას სჯერდება: ბედნიერებამ მის ყურისძირთან „აცდენილი ტყვიასავით გაიზუზუნა“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 153). ლექსში „წვიმა და მეზობლის გოგონა“ ირონია და ნაწვიმრის მკვეთრი ფერები იგრძნობა: „მავთულებზე მიჯრით წვეთი წვეთზე ცოცავს და მე შენკენ ვატან გაუბედავ კოცნას...“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 125).

განსაკუთრებით საგულისხმოა მეუღლესა და შვილისადმი მიძღვნილი სტრიქონები: „ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს, სამი ფანჯარა: მე, შენ და ბავშვი“ (ნიშნიანიძე, პოეზია, ტ. 1, 2013, გვ. 97). სამყაროსთან ჰარმონიის შესანარჩუნებლად ოჯახური კავშირის როლის მნიშვნელობაზე საუბრობს პოეტი ლექსში „უნაპირობა“.

მკითხველს საჭირბოროტო საკითხებზე დააფიქრებს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე ნომინირებული ოთარ ჭილაძის ლექსები. პოეტი ეხმიანება საბჭოთა ყოველდღიურობას, ასახავს რიგითი მოქალაქის გრძნობებსა თუ განსხვავებული ხედვის ფილოსოფიურ შთაგონებას. ბესიკ ხარანაული აღნიშნავს: „ოთარ ჭილაძემ სასტიკ დროში იცხოვრა და თვითონაც არა ნაკლები სისასტიკე დაუბრუნა, მაგრამ მისი შემოქმედება სიხარულის მომნიჭებელია. ეს მნიშვნელოვანი

პარადოქსია ხელოვნებისა და მხოლოდ დიდ შემოქმედებაში იჩენს თავს. ასეთია ოთარ ჭილაძის შემოქმედებაც" (კრიტიკა, 2010, გვ. 274).

„დათბობის ხანაში" შემოქმედებითი ენერგიის ეგზისტენციალური ასპექტი, შინაგანი ენერგიის გამოთავისუფლების სიმბოლოდ შეიძლება, მოვიაზროთ დამარხული მდინარე, სულიწმიდის ფიზიკური ხატი, რომლის დაჭაობება და მოსპობა სიცოცხლის განადგურების ტოლფასია: „მთელი წელია!.. შეეზარდა თმა წყალმცენარეს, სხეული ლოდებს, თვალი სივრცეს. მთელი წელია!" (ჭილაძე, 2010, გვ. 241).

ისტორიული ალეგორიები თანამედროვეობის ეგზისტენციალური პრობლემების გამოკვეთის საუკეთესო საშუალებაა. პოეტი ლექსში „ბაგრატის ტაძრის ნანგრევები" „უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ" (ჭილაძე, 2010, გვ. 262) ჩამომჯდარი ბაგრატის ლანდს ხედავს მუხლზე ჩუქურთმის პაწაწინა ნამტვრევით.

ნაძალადევი დუმილის პროტესტად უნდა აღვიქვათ „ძილიდან გამოყოლილ ლექსში" ტომრიდან ამოყვანილი „სისხლიანი დორბლით პირმოთხვრილი და ლაყუჩებზე სილამიმხმარი" (ჭილაძე, 2010, გვ. 318) თევზის სიმბოლო. ბავშვობაში ერთხელ ნანახი ო. ჭილაძის „მახსოვრობის გულქვა სარდაფში" სამუდამოდ გამომწყვდეულა.

პეიზაჟების აღწერისას ბუნება აღარ არის მხოლოდ ფონი, იგი სრულიად ეხმიანება პოეტის შინაგან სამყაროს, მას ესმის ქორთა გადაძახილიცა და ზედაზნის ნისლის საფიქრალიც (ჭილაძე, 2010, გვ. 141). ლექსში „მდინარე" პეიზაჟი ობიექტური მოცემულობაა, „კაცის სულივით ვრცელი და ჭრელი" (ჭილაძე, 2010, გვ. 201), ლექსში „ცა" კი - „შემზარავად მძინარი ქალაქის" (ჭილაძე, 2010, გვ. 204), საბჭოთა მოქალაქეებზე თავსმოხვეული სიმშვიდის ფერწერული ტილო.

„ოთარ ჭილაძე, თავისი სულიერი წყობით, მოქალაქეობრივი მრწამსითა და მომავლის შემოქმედებით, არაა „მასობრივი მკითხველის" მესიტყვე და „მესაიდუმლე". მისი აზროვნების მასშტაბი ელიტარულ, ინტელექტუალურ, სათანადოდ აღზრდილ და მომზადებულ მკითხველზეა „გათვლილი" (კრიტიკა, 2010, გვ. 120).

პიროვნული სუვერენიტეტის აღდგენას მოჰგავს ო. ჭილაძის გულწრფელი ტაეპები სატრფიალო ლირიკულ ნიმუშებში. პოეტი შეგვახსენებს, „რომ სიხარულსაც გაუდის ვადა, რომ სიმყუდროვეც ძაფით აბია", „მაგრამ არსებობს უსაზღვრო გულიც, უსაზღვრო ნდობაც, უსაზღვრო რწმენაც..." (ჭილაძე, 2010, გვ. 198).

კულტურულ-ისტორიული ინტერპრეტაციის ჭრილში აპოკალიფსური მოტივები „დათბობის ხანაში" გააზრებულია, როგორც რეაქცია ლიტერატურის სულიერ კრიზისზე: „...და, აი, როგორც სველი ძაღლები, ისევ მოგროვდნენ კართან ჩრდილები და მოითხოვენ კარის გაღებას: ყეფით, წკმუტუნით და დაჭინებით" (ჭილაძე, 2010, გვ. 209). კატასტროფის მიღმა ხელახლა შობის იმედიც დაკარგულია: „რაღა აზრი აქვს ან რითი შეცვლი ფუძეგამოცლილ ცასა და მიწას..." (ჭილაძე, 2010, გვ. 209).

თამაზ ჭილაძე აღნიშნავს, მისი: „ნაწარმოების კითხვის დროს, თითქოს შემოქმედების იდუმალ აქტს ვესწრებით - ჩვენივე თანამონაწილეობით ხდება არსებული სინამდვილის სიტყვად გარდაქმნა და მერე სიტყვიდან ახალი სინამდვილის მოვლინება" (ჭილაძე, 2010, გვ. 477).

ოთარ ჭილაძე ერთგან წერს: „როგორ შეიძლება პოეზია მოკვდეს - პოეზია იცოცხლებს, სანამ ადამიანი იქნება" (ჭილაძე, ცა მიწიდან იწყება: სხვადასხვა დროის ჩანაწერები , 2015, გვ. 15). ეს ერთგვარი პასუხია „საერთოპროლეტარულ", იდეოლოგიურ რიტორიკაზე. „დათბობის ხანამ" შვა ახალი ტიპის ხელოვანი, რომელიც ჭეშმარიტ, ინდივიდუალურ სიტყვათქმნადობას უნდა დაბრუნებოდა.

დასკვნა. „ხრუშოვის დათბობის ხანის" ქართული პოეზიის ანალიზი ცხადყოფს, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ეგზისტენციალური და ესთეტიკური რევოლოციის ფონზე განვითარე-

ბულ ლიტერატურულ პროცესში გარდამავალი ეპოქა იდეოლოგიური წნეხის შესუსტების ფონზე მიმდინარეობდა.

ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გზით, ფოლკლორული საწყისების რეაქტუალიზაციითა თუ ისტორიის ფურცლების გაცოცხლებით ცდილობდნენ ქართველი პოეტები საერთაშორისო მასშტაბის ჰუმანიზმთან დაკავშირებას.

XX საუკუნის 50-60-იანელთა პოეზია მუდმივგანახლებადი ნაკადია, რომელიც დღესაც განსაზღვრავს ქართული პოეზიის ინტელექტუალურ ვექტორს.

„დათბობის ხანის“ პოეტური ფილოსოფია მომავალი თაობებისათვის შემოქმედებით ანდერძში უნდა ვეძიოთ, როგორც სიცოცხლის მარადიული დინამიკა - ბუნების სტიქიათა უწყვეტი მონაცვლეობა, როგორც სამყაროსთან შემოქმედების საშუალებით პრომეთესეული ჭიდილი.

ბიბლიოგრაფია

ბენაშვილი, გ. (2002). *ლიტერატურული მედიტაციები .* თბილისი: "მერანი".

კრიტიკა. (2010). თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.

ლიტერატურული პროცესი და კრიტიკა. (1980). თბილისი: "მერანი".

ნიშნიანიძე, შ. (1990). *თხზულებანი ორ ტომად, ტ. 1, ლექსები. პოემა.* თბილისი: გამომცემლობა "საქართველო".

ნიშნიანიძე, შ. (2013). *პოეზია, ტ. 1.* თბილისი: „პალიტრა L“.

ქვლივიძე, მ. (1994). *ერთტომეული.* თბილისი: გამომცემლობა "საქართველო".

ჭილაძე, ო. (2010). *ლექსები და პოემები.* თბილისი: "პეგასი".

ჭილაძე, ო. (2015). *ცა მიწიდან იწყება: სხვადასხვა დროის ჩანაწერები.* თბილისი: „ინტელექტი“.